

ტესტი, რომელსაც შეუძლია დაადგინოს, რამდენად წარმატებული იქნებით თქვენს პროფესიაში

ავტორი: ქეთი კვიციანიანი

პროფესიულ პროგრამებზე სწავლის მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. 2015 წლის საშემოდგომო მიღებისათვის 11600-ზე მეტი აპლიკანტი დარეგისტრირდა, 2016 წლის საშემოდგომო მიღებისათვის კი მსურველთა რაოდენობა 13000-მდე გაიზარდა. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ პროფესიულ პროგრამებზე სწავლება პრაქტიკულად უფასოა. დაფინანსების მოპოვების მიზნით კონკურსანტმა ტესტირებაზე პროფესიული უნარებისა და საგნის ტესტის ჯამური მაქსიმალური ქულის 25%-ზე მეტი უნდა დააგროვოს.

თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა განსაზღვრულია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ პროგრამის ხანგრძლივობა მინიმუმ 6 თვე და მაქსიმუმ 2,5 წელია. ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები ინფორმატიკა, მშენებლობა და ტურიზმია. ასევე პოპულარული პროფესიებია: ოფისის მენეჯერი, მზარეული, ბარმენი, ტრანსპორტის სპეციალისტი (სავალი ნაწილის ტექნიკოსი, ძრავის შემკეთებელი), საექთნო საქმე, ფარმაცია და სხვ.


2013 წლიდან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში შემუშავდა სპეციფიკური უნარების ტესტები, რომლებიც ადგენს, რამდენად შეუძლია ადამიანს აითვისოს ესა თუ ის პროფესია.

პროექტზე კვლევის ჯგუფი მუშაობდა კვლევისა და საგნობრივი დეპარტამენტის უფროსის, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მეცნიერებათა

დოქტორის ია კუტალაძის ხელმძღვანელობით.

„ჩვენ საერთაშორისო პრაქტიკას, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზსა და არსებული გამოცდილების კრიტიკულ გაანალიზებას დავყვრდებით. ცენტრის მიერ შექმნილი ტესტები ორიგინალურია და მორგებულია ჩვენი პოპულაციის მახასიათებლებს“ (ი. კუტალაძე).

კონკრეტულად თუ რას ზომავს საკანცელარიო ან მექანიკური უნარების ტესტები, ამის შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის ჯგუფის ექსპერტი ქ-ნი თამარ ლიპარტელიანი გვესაუბრება: „საკანცელარიო უნარის ფლობა სამუშაოთა ფართო სპექტრისათვის არის მნიშვნელოვანი. კერძოდ, საკანცელარიო უნარებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ პროფესიებში, რომლებიც, როგორც წესი, მოითხოვს მცირე დეტალებზე ყურადღების ფოკუსირებას. ამ პროფესიებისათვის მნიშვნელოვანია შეცდომების სწრაფად აღმოჩენა, წერიტი კომუნიკაციის, კითხვის, გაგების, პუნქტუაციის, ორთოგრაფიის, გრამატიკის გამოყენება, ასევე მნიშვნელოვანია დოკუმენტაციის, სხვადასხვა ოფიციალური წერილის მომზადება, ასევე მონაცემთა ბაზებიდან ინფორმაციის (რიცხვების, სხვადასხვაგვარი კოდის) სწორად გადმოტანა და ა. შ. საკანცელარიო უნარის ტესტი კომპლექსურად აფასებს, რამდენად აქვს ადამიანს შესაძლებლობა დროის მოკლე მონაკვეთში, რაც შეიძლება სწრაფად და აკურატულად აღიქვას სხვადასხვა სახის დეტალი



(ციფრები, ასოები, სიმბოლოები, სურათები, ფორმები და ა. შ.), მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია/ ანალიზი (მაგ.: იპოვოს განსხვავებები, აღმოაჩინოს შეცდომები და ა. შ.) და გამოიტანოს დასკვნა. ის ზომავს ინდივიდის შესაძლებლობას წაიკითხოს და გაიაზროს ინსტრუქციები, გააანალიზოს ანგარიშები, აწარმოოს მარტივი გამოთვლები, დაახარისხოს დოკუმენტაცია და ა. შ.“

- რომელ პროფესიულ პროგრამებზე ბარდება მექანიკური უნარების ტესტი ანუ რომელი პროფესიების მსურველი ადამიანებისათვისაა სავალდებულო მისი დაძლევა?

- წარმატების მისაღწევად იმ სამუშაოზე, სადაც ადამიანს მანქანებთან ან დანადგარებთან აქვს შეხება, აუცილებელია მექანიკური უნარების ფლობა, იგულისხმება პრობლემის გადასაწყვეტად ე. წ. მექანიკური ინფორმაციის გამოყენების უნარი. ჩვეულებრივ, მექანიკური უნარების ტესტები ფართოდ გამოიყენება პროფესიული ორიენტაციისა და სახელობო პროფესიებისათვის პერსონალის შერჩევის დროს; მექანიკური უნარების ტესტი აფასებს მექანიკური პრინციპების გამოყენების, მექანიკური ამროვნებისა და მსჯელობის უნარებს.

მექანიკური უნარების ჩვენ მიერ შეთავაზებული ტესტით ფასდება გამოსაცდელის უნარი, გამოიყენოს მარტივი მექანიკური და ფიზიკური პრინციპები, ასევე სივრცითი ინფორმაცია პრობლემის გადასაწყვეტად. უფრო ზუსტად, ჩვენ ვაფსებთ, რამდენად ესმის გამოსაცდელს ის ძირითადი მექანიკური პრინციპები, რომელთა საფუძველზეც მუშაობს სხვადასხვა მოწყობილობა და ხელსაწყო (შეუძლია თუ არა გამოსაცდელს გაიაზროს მექანიკის მუშაობის პრინციპი, ამა თუ იმ ხელსაწყოს გამოყენების ფუნქცია და სხვ.), ასევე ფასდება სივრცითი ვიზუალიზაციის უნარი (ინდივიდის შესაძლებლობა - წარმოადგინოს, გარდაქმნას სიმბოლური, არაალინგვისტური ინფორმაცია).

- მექანიკური და საკანცელარო ტესტების გარდა, კიდევ რა ტიპის ტესტის ჩაბარება შეუძლიათ იმ ადამიანებს, რომლებსაც პროფესიულ პროგრამებზე სურთ სწავლის გაგრძელება?

- ჩვენ ასევე ვიყენებთ სივრცითი უნარების ტესტს, რომელიც აფასებს, შეუძლია თუ არა ადამიანს სივრცითი ორიენტაცია, ორ და სამგანზომილებიანი ფიგურებით ოპერირება და სხვ. სივრცითი უნარი



არსებითი და მნიშვნელოვანია ტექნიკურ და დიზაინერულ სამუშაოებში, რომლებიც ნახაზებსა და გეგმებს იყენებს, ის ასევე მნიშვნელოვანია მეცნიერების ზოგიერთ დარგსა და ტექნოლოგიაში, რომელთაც სამგანზომილებიან კომპონენტებთან აქვთ შეხება.

- როგორ ხდება პროფესიული გამოცდის დროს აპლიკანტის კომპეტენციის დადგენა ტესტირების საშუალებით?

- პროფესიული გამოცდის დროს ტესტის საფუძველზე ჩვენ ვაფასებთ აპლიკანტის იმ უნარებს, რომელთა ფლობაც კრიტიკული მნიშვნელობისაა კონკრეტული პროფესიის ან პროფესიათა ჯგუფისათვის. ცხადია, ადამიანებს არ შეუძლით ყოველგვარი სამუშაოს თანაბარი ეფექტიანობით შესრულება. ეს უდავო ჭეშმარიტება განპირობებულია, ერთი მხრივ, სამუშაო მოთხოვნათა სპეციფიკურობით და, მეორე მხრივ, ინდივიდთა უნარ-შესაძლებლობების განსხვავებულობებით. თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ ორგანიზაციაში ერთი და იმავე სამუშაო-დავალებებით დაკავებული ადამიანები ამ დავალებებს განსხვავებული წარმატებით, განსხვავებული დროისა და ენერჯის ხარჯვით ასრულებენ, რადგან ისინი განსხვავდებიან

უნარებით, ინტელექტუალური შესაძლებლობებით, სამუშაოსადმი დამოკიდებულებებით, მოტივაციებით და სხვა მახასიათებლებით. ნებისმიერი ადამიანისათვის მნიშვნელოვანია, რომ ის სწორედ იმ სამუშაოს ასრულებდეს, რომლის ადეკვატური უნარები და კომპეტენციები გააჩნია.

- რას გვადლევს ამ ტიპის შეფასება და რითია მექანიკური, სივრცითი თუ საკანცელარო უნარების ტესტები უნიკალური?

- სამუშაო მოთხოვნების კლავვა გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან იღებს სათავეს და დღეისათვის დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე განსაზღვრულია ამა თუ იმ პროფესიისათვის, პროფესიათა ჯგუფისათვის მნიშვნელოვანი სპეციფიკური უნარები. ამ უნარების შეფასება საშუალებას გვადლევს ვინინასწარმეტყველოთ, რამდენად წარმატებული იქნება ადამიანი კონკრეტულ პროფესიაში. პროფესიული გამოცდის დროს აქცენტი ისეთ უნარებზე კეთდება, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიათა გარკვეული ჯგუფის დაუფლებისა და წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის. ეს უნარებია: საკანცელარო, მექანიკური, სივრცითი უნარები...